საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კასრი

კასრი, ისტორიული პუნქტი შუა საუკუნეების აღმ. საქართველოში. წყაროებში პირველად იხსენიება აღმ. კახეთში (ჰერეთში) ერისმთავარ არჩილის მოღვაწეობასთან დაკავშირებით (VIII ს.). შემდგომში არჩილმა კ. უბოძა ერთ-ერთ კლარჯ მთავარს. კ-ის ეკლესია [ნანგრევები შემორჩენილია დაბა კახის (აზერბ. რესპ.) ტერიტორიაზე] იხსენიება 1310. შესაძლებელია კ. კახის უძველესი სახელწოდება იყოს.

კ. იხსენიება ჯუანშერის (XI ს.) თხზულებაში ჩართულ VIII ს. ანონიმ ავტორთან და დაკავშირებულია ერისმთავარ არჩილის მოღვაწეობასთან: „მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურნი ყვნა იგინი .... და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი" (ქც 1:243,14, 15). მდებარეობდა დაბა კახის (აზერბაიჯანი) ტერიტორიაზე.

კ. არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ნანგრევების სახით შემორჩენილა კასრის წმ. სამების ეკლესია, რ-იც მოიხსენიება მაღალაშვილისეული ოთხთავის 1310 წ. მინაწერში. აღნიშნული მინაწერი წარმოადგენს ქურმუხის მთავარეპისკოპოსის, კირილე დონაურის ანდერძს. მასში დაცულია ცნობა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ექვთიმეს, XIV ს. I ნახში სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად მოუნახულებია კასრის წმ. სამების ტაძარიც. დარბაზული ტიპის ტაძარი ნაგები ყოფილა შირიმისა და რიყის კვადრებითა და ფლეთილი ქვით. შემორჩენილია 1,5 მ სიმაღლის კედლები და ნახევარწრიული აფსიდა. ტაძრის მიახლოებითი ზომებია 8×6 მ, კედლის სისქე – 80 სმ. ეკლესიის ჩრდ. კედელში შემორჩენილია თაღი, რ-იც შესაძლოა საძვალე ყოფილიყო. ტაძრის სამხრ.-აღმით, 1,5 მ-ზე შეჭრილი ყოფილა აკლდამის მსგავსი ქვის ვიწრო ნაგებობა. აკლდამა გაძარცულია. ეკლესია 1912 განუახლებია საინგილოში მოღვაწე მღვდელ მ. ყულოშვილს.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1945; პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008; ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., კახეთის ქალაქები (XIV–XVII სს.), თბ., 1980; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1884.

დ. მუსხელიშვილი